**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ძმებისა) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

**„დროების“ ფასი:**

მთელ წლის . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო-მოგვრძოთ ასოზე ნახევარი კაპ., ნეკროლოგების ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, [illegible] რედაქცია [illegible] უკან დაბრუნება [illegible].

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.



## ხუთის თვის ხელის-მოწერა.

პირველის აგვისტოდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

## „დროება“

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.


# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურგი, 30 ივლისს.** პირველ აგვისტოს მოსკოვში იქნება ტყის მცველებისა და ტყის პატრონების კრება.

ტულასა და პოდოლსკს შუა კიდევ ჩანგრეულა რკინის გზა.

**პარიჟი, 30 ივლისს.** სენატმა და ნაციონალურმა კრებამ დროებით შესწყვიტა თავის სხდომები.

**სტამბოლი, 30 ივლისს.** ხონთქარმა გამოსცა ბრძანება (ირადე), რომლის ძალითაც არაბი-ფაშა მოჯანყედ არის გამოცხადებული.

**პეტერბურგი.** „ზარიაში“ სწერენ, ჩერნოგორიის მთავარმა ჩერნოგორიაში შეფარდულ გერცოგოვინელებს გამოუცხადა, რომ დღეის შემდეგ თქვენი შენახვა აღარ შემიძლიაო.

„მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია—თუ რა უფლება აქვს მინიჭებული შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს; იმას ექვემდებარება სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტი, პეტერბურღის ობერ-პოლიცმეისტერი და ყველა საქმეები პოლიტიკურ დამნაშავეების შესახებ, აგრეთვე სატუსაღოები, რომლებშიაც ეს პოლიტიკური დამნაშავეები არიან დამწყვდეულნი.

ამავე გაზეთში გამოცხადებულია—თუ რა წესით უნდა გაიყიდოს ბანკში დაგირავებული მამულები, რომლის პატრონებსაც თავის დროზე ვალი ვერ გადაუხდიათ.

---

## იმერლების ავაზაკობა ტფილისში

ტფილისი, 31 ივლისს.

ვავლილ ოთხშაბათს სამი კაცი ჩამოაღრჩეს ავაზაკობისათვის. მეორე დღეს, გათენებისას, როგორც ამბობენ, თორმეტმა კაცმა სწორედ ამ გვარივე ავაზაკობა ჩაიდინა და რვა ამათგანი კიდეც ჩაუვარდა ხელში „მართლ-მსაჯულებას“.

ამ ორი შემთხვევიდამ სცნობთ, თუ რამდენად მართალნი და ჭეშმარიტებასთან ახლოს ყოფილან ის იურისტები—ფილოსოფოსები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ დასჯის ზნეობითი ზედ-მოქმედება, შემაშინებელი გავლენა აქვს ადამიანზედაო,—და ამით ამართლებენ ყოველგვარ სასჯელს და თვით ადამიანის მოკვლას, ჩამოღრჩობას და დახვრეტასაც. ამბობენ, როცა გამოჩენილ ავაზაკს ტატო წულუკიძეს აღრჩობდნენ მახათაზე, იქ მაყურებლებში ერთი ჯიბგირი დაიჭირესო, რომელსაც ერთის ერთობ ერთ-გულ და პირლია მაყურებლისათვის ჯიბეში ჩაეყო ხელი და ფულის ქისას იღებდა იქიდამაო! ესეც კიდევ მაგალითი სიკვდილით დასჯის ზნეობით ზედმოქმედებისა!

მაგრამ დღეს ჩვენ სულ სხვა საგანზე გვინდა ორიოდე სიტყვის თქმა.

ფონ-ერტელის გამცარცველებში, როგორც მაშინ გამოცხადდა, ორი თუ სამი იმერელი ერია და ერთი ამათგანი (ახალაძე) კიდეც ჩამოაღრჩვეს. ახლა ამ მეორე ავაზაკობაში, ხუთშაბათ დილით რომ კობიევის ქვრივს დაეცნენ, გაცარცვეს და კაციც დასჭრეს, რვა კაცში, რომელიც პოლიციას დაუჭერია, ამ საქმის თაობაზედ, ამბობენ, სამი თუ ოთხი იმერლები არიანო.

ამ გვარ ავაზაკობაში მონაწილეობის მიღებას იმერლებისას ადრე იშვიათად გაიგონებდით ჩვენს ქალაქში. ამათი ერთი ავაზაკობა და ცუდ-კაცობა ის იყო, რომ მზარეული ან ხელზე-მოსამსახურე იმერელი ხორაგის ან სხვა რამის ყიდვის დროს გამორჩებოდა თავის ბატონს.

ნამდვილი ქურდები და ჯიბგირები ქალაქში სომხები იყვნენ, კინტოები, ავაზაკები, გამცარცველები და კაცის-მკვლელები კი თათრები. ახლა, ამ უკანასკნელ დროს იმერლებმაც გაითქვეს სახელი ამ გვარ კაი-კაცობაში. ისე ქურდობა და ავაზაკობა არ მოხდება თითქმის ქალაქში, რომ იმერელი არ ერიოს. დიდ-ძალი იმერლები არიან დაჭერილნი ჩვენს ციხეებში, ბევრი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არიან გამოშვებულნი.

რა არის ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? რამ შესცვალა ასე ქალაქის იმერლობა? მიზეზი ის გახლავთ, რომ

---

(დროების) ფელეტონი, 1 აგვისტ.

## მამა-პაპურ სამარხში

(ამბავი ქიზიყურ ცხოვრებიდამ)

### I

მარიამობის თვის დამლევი რიცხვებია. დაგვიანებულ მთვარეს აგერ ცისკარმა მოასწრო და ის მკრთალად-ლაპლაპებს მედიდურ ბუდაურის სტანციის არე-მარეს, სადაც ტოროლას ხმაურობასთან კაკბების კასკასიც გატყობინებს განთიადს...

ძირიდგან ცელქ არაგვს თითქო ხმა გამოჰლევიაო, ისე მის ქუხილ-ბღავილის მაგივრად შუილ-ხუილი მოისმის და ამ უკანასკნელსაც აქარვებს ციცი მთის ნიავის ქვითინი...

აი დაიჩხრიალა სტანციის გვერდზე მყოფ ეტაპის სახლის კარებმა... გაიღო იგი და მოისმა ერთბაში ჩხრიალი ბორკილებისა... მთვარეზე შეჰქნეს ლაპლაპი შტიკებმა... მიაჩხრიალებს მშვენიერ გზა-ტკეცილზე საზარელი ალალი. რუსები, რიცხვით ექვსი, დინჯად დგამენ მძიმე ფეხებს, რადგან უკანიდგან მოე-იან სხვა ალალს. ორი ტუსაღი ყუყივით შავი წვერებით დარბაისლურად უშვებენ ჩიბუხებიდგან ლურჯ კვამლს. არესტანტულ შინლებზე ვერ შაიტყობთ, რასაკვირველია, მათ ვინაობას, მაგრამ თავზე შერჩენილი ჩატეხილი მთელი ცხვრის უშველებელი წითელი ქუდები კი, რომელთ ქვეშაც მოჩანს შუაზე გადაპარსული კოსროები,—გატყობინებთ, რო ესენი არიან თათრები ანუ მულალნი, რომელთა ახოვანი მიხრა-მოხრა გეუბნებათ, რომ კიდევ ბევრი რამ ველური უდგიათ მათ პაპის პაპა ლენგ თემურის დამის ამალისაო და რომლებიდანაც ამ დარღუბალა წუთის-სოფელმა ვერ აღმოფხვრა ბნელ ქამებში პაპებისგან ჩაბერილი მტაცებლობის სისხლის ღვრის და ამაყობის სულიო...

მათ უკან მისდევენ ორნი ამათზედ გადაჭარბებულ ახოვან და ლომური მიხვრა-მოხვრის პატრონნი ქიზიყელნი... მიდიან ესენი, თითქო ხუნდები ამათ კანჭებზე არა ჩხრიალებსო.—მაგრამ რალა გატყობინებთ ამათ ქიზიყელობას?! სადა აქვ' უფროს ძმა ტეფანეს თავისი აქამომდე განუშორებელი მამა-პაპის მოკაუჭებული ხმალი, შევერცხლილი სიათა, ლიტრა-ნახევრიანი შევერცხლილი ქამარ-ხანჯალი, დიდი უშველებელი მათრახი, თეთრი ცხენი, რომლითაც ის ნიავისევე დაჰქროდა ხოლმე თავის მშობლიო შარაქში, სტეპამდა ალაზან-იორში, დაჰქროდა თავის ცხვარ-კამბეჩობაში, რომლებიც ისე იყვნენ დაგარეულებულნი, რომ მის ცხენის დანახვაზედ ფუნდრუკ-ყროყინით და საშინელ ქშუვილით წევრეოდნენ ხოლმე ჭიაურის ჭალაში, ალაზნის ხავსიან მორევებში.... მარტო მედიდურ კანჭებზედ, ხუნდებ ქვევით მოჩანს ზორბა საცვეთები და იმას ქვევით ჭრელ წინდებზე ქიზიყური ზონრიანი წუღებილა გეუბნებოდნენ იმის ქიზიყელობას, დანარჩენი კანონით გაუპატიურებულ რუსს წარმოგიდგენდათ.

სტეფანე ფანიაშვილი სდუმდა. ან რა ეკეთებინა მოგონებით სავსე შუბლს?!—ის გოგრა ქვეხა, რომელიც ცხარე ცრემლით სტიროდა, როცა რუსებმა ჩვენი ტეფანე „სკოსროში“ (როგორც ტეფანევე იტყოდა ხოლმე) გაატარეს, ეხლა იცინის ჩალხანასტოლა თავ ქვეშ, რომ ტეფანე ფანიაშვილი თავის მანქანებით გადაკარგა მიზიყიდან, საუკუნოდ ციმბირში გაამგზავრა... რა დიდი ხანი იყო გასული „სკოსროს“ შემდეგ:—ოც-დაჩვიდმეტი წელი—მაშინ ღვიძლ ძმებზე უარესად შეფიცულნი მეგობარნი და ეხლა მოსისხლეზე გადამეტებული მტრები!!

—ჰე, მაშინ მამა-პაპური მადლი ბლომად ტრიალებდა ალბად,—ეხლა გაქრაყე ყველა!.. იტყოდა ხოლმე ციხეში ტეფანე.

—ოთიებზე და თოფი ყე — კოსერზე, ძმო და თოფი ყე — ფეხებზე და თოფი დამაკრიან ი წყეულებმა ყე. მაგრამ ისრე გაეირბინე რუსის „რადა“, თითქო აწიაწოაო. ბოლოს-კი რო გაველ, წავიქეციყე, თითქო მდუღარე დამასხიან ზურგზე... სამ კვირას უკან კი მე და გოგრა ისევ ვძალლობდით—მარანში ნუნუას ვყლურჭამდითყე დაათავებდა ხოლმე „კოსროზე“! ამბავს ეუბნებოდა ტეფანე ქიზიყელებსა და მერე უჩვენებდა ხოლმე მაშინდელ დამტვრეულ და ჩაშავებულს უზარმაზარ ბეჭებს...

უყვარდათ კიდეც ეს ხუმარა, ლანძღვაში და შაირში გაქნილი თანამოძმე ქიზიყელებს. მაგრამ ჰშურდათ იმისი სიმდიდრე უთვალავი ძროხისა და ცხვრის ფარები... ოც თუმან საკომლოს აწერდნენ,—მაგრამ რა იყო ეს ფანიაშვილისთვის?! ეჯავრებოდათ ეს კიდევ მეტი უდიერულ და ულმერ-

ერთობ ბევრი იმერლობა მოაწყდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქს და ისეთი იმერლობაც, რომელსაც შინ, პატარაობიდამვე არაფერი საქმე და ხელობა არ შეუსწავლიათ, და ამიტომ ბევრი ამათგანი უადგილოდ რჩება, უჭირს ცხოვრება, ლუკმა-პურს ვერ პოულობს და ამ ნაირად მრუდე გზას ადგება.

თამამშოვის ქარვასლასთან მუდამ დილაობით ასზე მეტს იმერელ ბიჭს დაინახავთ, რომელნიც სხედან, ლაქლაქობენ და დღითი-დღე მოელოდებიან თავის მზარეულად, მოსამსახურედ ან სხვა რამ საქმისთვის დამქერელს-ალას. რამდენიმე ტრაქტირია ქალაქის მიყრუებულს ქუჩებში, რომლებიც იმერლებს უჭირავთ და რომელნიც უადგილო, ქალაღდის მოთამაშე და გაფუჭებულ იმერლებით არიან მუდამ სავსე? აქ, ამ ტრაქტირებში, ამ უსაქმობის დროს, ზნეობით ირყვნებიან ისინი, უსაქმობას და თამაშს, სმას ეჩვევიან და ბოლოს ზნეობით ფუჭდებიან. ამ სკოლაში გაწრთვნილი იმერელი, ადგილიც რომ იშოვოს იმან, საქმისთვის აღარ გამოდგება. თუ ასე წავიდა საქმე, ახლაც საკმაოდ გაფუჭებული აქვთ ქალაქში იმერლებს სახელი და ბოლოს იქამდინ მივლენ, რომ არავინ აღარ დაიჭერს იმათთან საქმეს, არავინ აღარ მიიკარებს ახლოს.

ამ მდგომარეობაში ერთი რამ იხსნის, ყველას თუ არა, მომეტებულ ნაწილს იმ იმერლებისას მაინც, რომელნიც ახლად ჩამოდიან ქალაქში და ჯერ არ გაფუჭებულან: ეს ერთი რამ გახლავთ — მოსამსახურეების კანტორა, რომლის თაობაზედაც ამ ორი წლის წინად ბევრი ლაპარაკი იყო ქაურს იმერლებში. საჭიროა ისეთი კანტორა, სადაც ყველა იმერელს, რომელსაც ადგილის შოვნა ჰსურს, შეეძლოს მისვლა, იაფი ბინისა და საჭმელ-სასმლის პოვნა, სანამ კანტორა ადგილს ანუ საქმეს აღმოუჩენდეს. კანტორას ეცოდინება ყველა თავისგან დაყენებული იმერლები, ბიჭის ან მოჯამაგირის მსურველიც უფრო მალე დაინდობა იმას და ამნაირად ორივე მხარე შეეძლია დააკმაყოფილოს.

ამ ორი წლის წინად, როგორც გვახსოვს, იყო ლაპარაკი ამ გვარ კანტორის დაფუძნებაზე; წესდებაც წარადგინეს მაშინ ბ. ტფ. ღუბერნატორთან დასამტკიცებლად; მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს საქმე ჯერჯერობით ვერ მოგვარდა, ვერ მოვიდა სისრულეში, თუმცა ამ გვარი კანტორები თითქმის რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში არსებობენ და დამაბრკოლებელი მიზეზი არც ჩვენშიაც უნდა იყოს-რა.

ამ კანტორის გარდა, ტფილისის იმერლობაში კეთილ-ზნეობისა და კეთილ-დღეობის დასამყარებლად საჭიროა აგრეთვე მოისპოს და დაიკეტოს ყველა ის ტრაქტირები, რომლებშიაც ყომარბაზობა და კარტის თამაშია ხოლმე. აქ ტრაქტირებში აქვთ მოლაპარაკება — თუ ვინ, სად და როგორ გაცარცონ, აქ ადგენენ პლანს და, იმ პლანის შესრულების შემდეგ, აქვე ბრუნდებიან უკულმართის გზით ნაშოვნის გასანაწილებლად და შესაჭმელად. ეს ტრაქტირები ყველა კარგად იცის ჩვენმა პოლიციამ.

## დღიური

ქალაქში ისეთი გრილი დღეები დადგა, განსაკუთრებით საღამოობით ისე გრილა, რომ თითქმის სრულიად დაგვავიწყდა საშინელი სიცხეები, რომელიც ამ ორის თვის განმავლობაში სულს გვიგუბებდა. ნიავიც ჰქრის. ამბობენ გავლილ ხუთშაბათსა და პარასკევს ქართლისაკენ (არაგვის ხეობის აყოლებით) კარგი ლიაზათიანი წვიმები იყოვო. სიგრილეც ამის მიზეზი უნდა იყოსო; ამისგან არის აგრეთვე, რომ მტკვარი ამ ჟამად საშინლად ამღვრეული და ტალახიანი მოდის.

* * *

სამტრედიასა და ბათუმს შუა რომ ავაზაკები ინჟინერს, და იმის თანაშემწე დაეცნენ, ამის შესახებ კიდევ გვატყობინებენ, რომ მუშების დასარიგებელი ფული 22,000 მანეთამდინ ინჟინერის თანაშემწეს სტორს ჰქონია, რომელიც გაიქცა და ამნაირად ეს ფული გადაარჩინა. ჩაფარი იქვე მომკვდარა. მძიმედ დაჭრილი ინჟინერი კი ფოთში ჩაუყვანიათ. მუშებს მიუსწრიათ და ამის გამო ავაზაკებს ვირაფრის წაღება ვერ მოუსწრიათ. პირველად ჩაფარს ესროლეს თურმე და ფაიტონის ერთი ცხენიც მოჰკლეს.

* * *

ბორჯომიდამ გვწერენ:

„ამ თვის 27-ს სრულებით გააქრეს ის საშინელი ცეცხლი, რომელიც ბორჯომის ტყეს მოედვა.

პარასკევს, 29-ს აქ მოელიან აბასთუმნიდამ ჩვენებურ არტისტებს: ბ. ფ. ქორიძესა და პ მესხს, რომელთაც კონცერტი უნდა გამართონ აქ. ისეთი მოწყენილობაა აქამდე აქ, რომ უეჭველია, [illegible] დაესწრება ხალხი ამ კონცერტზე.“

## „დროების“ კორრესპონდენცია

საგარეჯო, 24 ივლისს. მშვენიერი ჰირნახულები იყო დღევანდლამდის საგარეჯოს ვრცელ მინდვრებში და კარგი მოსავლის იმედიც გვქონდა. ვიძახოდით:—ამ სამი წლის მოუსავლობას სულ დაგვავიწყებსო, ვალებს მოვიშორებთ და ჩვენთვისაც საზრდოს დაგვრჩებაო!

ეს მანუგეშებელი იმედი სულ გაგვიცრუვდა.

24 ივნისს სადილის შემდეგ დასავლეთის მხრიდან გაჩნდენ შავი ღრუბლები და მასთან სეტყვა ქარითა, რომელმაც ჩვენი მინდვრის მოსავალი ზოგან სულ წაახდინა და ზოგან გაანახევრა. [illegible] უფრო სხვილებს ისროდა. მოხუცნი ამბობენ: „ამისთანა ყოვლად მომმუსვრელ სეტყვას ჯერ არ შევსწრებივართო. სეტყვა თუმც ამაზე მსხვილიც ყოფილა, მაგრამ ერთი მხარე რო დაუსეტყვია, მეორე გადარჩენილაო.“

ამ უბედურებას ჩვენ უმეცარი ხალხი ბულისაანთ მღვდლების და მთავარი იასონ ბარსიევის უწესო მოქმედებას ვაწერთ. ეს სამღვდელო პირნი უქმე დღეს იდგნენ და თავიანთი მუშებით თივას სთიბენ. როდესაც გამწარებული და სეტყვისაგან დაზარალებული ხალხი შემოეხვია ამათ და ჰკითხავდა:—რად გვიყავით ეს უდიერობა, რაზე დაგვაქციეთ, რად მუშაობდით უქმით, განა წირვის მაგიერი იყოო?

---

თო ქვევაზე: გადაემტერებოდა ვისმე —გაანადგურებდა, გააჯავრებდა ვინმე—სასიკვდილოდ არ დაინდობდა; ემართა იმისი ვისმე—და დაარჩობდა. დაიპარავდნენ საინგილოში, ჭარ-ბელაქანში ზაქობას, გამოჰრეკავდნენ შირაქში, დაჰკრავდნენ თავიანთ დამღებს და გაურევდნენ თავიანთ საქონელში. ბოგრა ქევხისაც ჯერ სიმდიდრე ჰშურდა ტეფანესი;—მერე ის ეჯავრებოდა, რო კრიჭაში ედგა ხოლმე ხალხში მას. არად აგდებდა მთელი ქიზიყში სახელოვანს ბრძნად ნათქომ ბოგრას. ჯერ სულ უპრალო ხეპრობით სტეფანეს მიერ გაჯავრებული ქევხა, მერე ორთავეს მწყალობი, ერთმანეთის მოსისხლე მტრად გადაიქცნენ... მტრის განადგურება კიდევ უმთავრესი ღირსებაა ქიზიყურ განთქმულ კაცებში. მთელი ქიზიყი ლაპარაკობდა ამათ გადაკიდებაზედ.

— ჰა, ძაან არ გადიკიდნენ-ყე ქევხა და ტეფანე. არ კი ვიცით-ყე ვინ ვის ამოიჭამს.—გაიგონებდით ბევრ ქიზიყელისგან.

ბოგრა მთავრობაში ნათქომი კაცი იყო, იმიტომ ყველა გაჰყვანდა თავისი. ყოველი მაზრის მოხელე მისი სული და გული იყო. ყველა, ვისაც რამ გაუჭირდებოდა, ბოგრას შემწეობას ითხოვდა. ტეფანე მაგრე რიგად არ ეწყობოდა მოხელეებს,—მეტადრე წერილ-ფეხობას; იმიტომ ამათში მოკეთეობა ცოტა ჰყვანდა და ბოლოს, როცა სოფელმა ის ნაცვლად დააყენა და ამანაც საშინელი ცარცვნა დაუწყო უფრო შეძლებულ ხალხს და უფროსთ ბრძანებას ძრიელ ყურ-მძიმედ ასრულებდა, ყველამ საშინელი მტრობა დაუწყო. ბოგრამაც კი იპოვა სტეფანეს განადგურების იოლი.

სულ სხვას უჭიკჭიკებდა ხოლმე ქიზიყელებს საჯაროდ გამოსული სახელოვანი ბოგრა, როცა მას უწინ მოუვიდოდა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები განჯა-ყარაბაღიდან. ახლა კი სხვა ნაირად მღეროდა სათემოდ...

„— მიჰყე, მოჰყე სოფელსა, მამაძაღლის ოჯერსა!“ იმართლებდა ხოლმე თავს ბოგრა ჯერ ამ ანდაზით და მერე მოუყვებოდა პატივით და პირდაღებულთ შემყურე ქიზიყელობას,—რო ეხლა სხვა დროა, რო მორჩილობა უნდა ყველას მხრით, თუ სოფელი შალავათში გვინდა ვიყოლიოთ... აქედამ დაწყობილი ერთ დღეს ბოგრა გადავიდა სტეფანეს ქურდობაზედ, მის მიერ სამოხელო ხალხის გატყავებაზე, რომ მთავრობა სოფლის კისრიდან ამოიღებს მის ოინების ფასსა და სხვა.....

ოსტატი იყო და გამოცდილი ბოგრა ხალხთან ლაპარაკში. უნდა გენახათ ეს და მაშინ იგრძნობდით, თუ რა გავლენა ჰქონია კაცის სიტყვას ხალხის გულზე.

ბოგრამ დაათავა მითი, რომ აუხსნა ხალხს, როგორ შეეძლოთ მათ განაჩენით რომელიმე კაცის და გინდ სტეფანეს ციმბირს გაგზავნა. გაუკვირდა ეს ხალხს... არც სჯეროდათ და თითქო უნებურად მოაწყვეს სტეფანეს და მისი ძმა ქიტასი, როგორც ქურდების და ჯანყის მოთავეების ციმბირში გაგზავნაზედ... მაგრად მოჰკიდა მთავრობამაც ამ საქმეს ხელი. და აი ეს ერთი კვირაა, სიღნაღის ციხიდან ესენი ექვსი რუსით გამოამგზავრეს. სიღნაღის მოედანზე დაუხვდნენ უკანასკნელ გამოსასალმებლად მშვენიერი შავ-თვალა ცოლები, რომელთ ქვითინმა ბევრი ხალხი ააქვითინა... იქვე წყნარად იდგნენ ბევრი მათი სოფლელები, გაკვირვებით თვალებ-დაჭყეტილნი და ცოდვით კისრებ ჩაღუნულნი...

## II

მდუმარედ მიდიოდა ტეფანე; სდუმდნენ ამხანაგნიც... თათრებს ეზმანებოდათ იორზე ვაკეთ გაშლილი თავიანთ სოფლების უდაბური ქალამინდვრები, იქ ცხენით ყვაობა... სტეფანეს ძმას ცოლის შავი თვალები, სტეფანეს კი, თითქო ჭარ-ბელაქნის თეთრი მთებიდან ნუკრიან-მაღაროს კიდემდე ყველა ბიჯი ყველა შემთხვევა თვალ წინ ედგა... აგერ თეთრი უზარმაზარი მყინვარის აღუშფოთებელი შუბლიც ეჩვენათ ტყვეებს. აქ ბოლო დროს მხარ-მარცხნივ ჯურღმულში კიდევ გადაჰხედეს არაგვს და დაინახეს მოხევეების მამა-პაპის, ტყით მოსილ ღრიალა არაგვის პირს, სალოცავი! ამან ყველაზე უწმინდესი და უძლიერესი კაცთა გრძნობანი აღძრა ძმათა შორის, რომელთაც უნებურად გადაიწერეს პირს-ჯვარი...

— უნდ მოვშორდეთ მამათა სალოცავს?!! არ დავიმარხნეთ მამა-პაპურ სამარხზე, რომელთათვისაც სისხლი გვინთხევია!?...

შესძახა სტეფანემ, ერთ წამს სტაცა წინა ორ რუსის შტიკებს ხელი დასცა ისინი ძირს და შეინარჩუნა მათ თოფები ხელში. ფეხი ქუსლებზე არც კი შემოტრიალებულიყო, როცა სხვა რუსებიც ძირს ეყარნენ და მათ თოფები მუღალით და მის ძმას ეპყრათ ხელში... მუღალით სათითაოდ ააგეს რუსნი შტიკებზე, როცა ოთხნი დარჩენილნი ღრიალით გარბოდნენ.

— ჰაა! ღონღუზ, რად მოჰკალი, რად!!... დასჭყივლა სტეფანემ მეხივით მუღალით-მაგრამ მალე მოჰრიგდნენ...

...ნი მ. მიხეილმა პასუხად წამოიძე- „არკი ვთიბავდით, ვსარყავდითო." ...რისხებული ხალხი დაემუქრა: გი-...ლებთო, თქვენ რო ეგრე იქცევით, ...მელთაც წერილი ხელში გიჭირავთ, ..., გლეხებმა, რაღა ვქნათო! მსეთს ...ლითს გვაძლევენ ჩვენი სულიერი ...ები.

...მედურება ის არის, რო, რაც ...ყვისაგან გადავგვირჩა, ისიც ვერ ...გვიმკი:. მუშა დღეში პურზე ოთხ ...ტრა და ფულად მანეთ ნაკლებ ...ნი ხარჯით არ მოდის სამუშაოდ. ...რი არ გვემეტება, რო მცირე მო-...ლი მოგვივიდა და ფული კიდევ ...სად გვიშოვნია:

ჯერ ამ ჩვენ ბანკში რო არ არის ...ლი! მოგიჯამეილებს ორი კ.მბეჩი ...ლევეიით გირაოდ საგარეჯოს ბან-...თვის, ერთ კვირამდინ ორი თუმა-...გვასესხეს, რომ ჩვენი გარდაცვალე-...ლი ძმა დავმარხოთო. ბ ნკის ხაზი-...დარს პასუხი მიუცია, ბანკში ფუ-...ლი არ არისო, ვერ გასესხებთო. მა-...ს 29 მ. დ.—შვილი მიადგა ამავე ...ნკს: „აქ სიარულით ერთი წყვილი ...ლამანი გავცვითე, მამეცით ფული, ...თ ვერ მოვიდა ის კვირა, სულ მეუბ-...ნით: ქვირას მოდიო. გლეხს დაე-...ნება აზ. ბ—ნოვი, ბანკის წევრი. ...მაგრამ ვერც ამის დასარჩლებამ უშ-...ლა რამე, ისევ ხელ ცარიელი წავი-...შინ: ბანკში ფული არ არისო.

ამავე რიცხვს საგარეჯოს დეპოს ...ვრებმა სთხოვეს ბ. ცხვეთაძეს: ...გვეცი ის ორმოცდა ათი თუმანი ...ლი, რომელიც 24 იანვარს ბანკის ...ანავობის ყრილობამ გადაწყვიტა ...ნებითაო, რო პატარა ვაჭრობა გავაჩინოთ ამ უსაქონლო დეპოშიაო მაგრამ ჯერ გროშიც არ მიუღიათ. ბ. ცხვეთაძე მეორე დღეს ქალაქს წავიდა, მგონი ფულის მოსატანად.

ძარგი კი იქმნება, რო ბანკმა ჯერ ის მოაგროვოს, რაც გასესხებულია და ვადაც დიდი ხანია გასული აქვთ მსესხებლებს, რო ფული მოგროვდეს და გაჭირების დროს ხელი მოვინაცვლოთ, თუ არა და უფულო ბანკი რად გვინდა?

დათუა ერბოწონაშვილი.

---

მოგვყავს „შრომიდან" წერილი ბ. ვ. იურკევიჩისა, რომელსაც ბ. საჩხერის პრისტავი ლ. ჩხეიძე ასე ბაშიბუზუყურად მოექცა და რომლის შესახებაც ამ დღეებში იყო ჩვენს გაზეთში (№ 156) ცალკე შენიშნვა დაბეჭდილი:

„ბატონო რედაქტორო!

„გაზეთს „დროებაში" დროთი-დრომდე იბეჭდება კორრესპონდენციები დ. საჩხერიდან, რომელშიაც ხანდისხან ამჟღავნებენ ამა დაბის პოლიციის პრისტავის—ლ. ჩხეიძის უწესო მოქმედობას და უმართებულო ყოფა-ქცევას. ბ. ლ. ჩხეიძემ ჯერ ეჭვი აიღო ადგილობრივის სასოფლო სკოლის მასწავლებელზე ბ. ყარამან ჩხეიძეზე, რომ „ეს იქნება ავტორიო" და მიუგზავნა მოციქულები: „წერას თავი დაანებე, თორემ ან შენ და ან მეო". ბ. მასწავლებელმა თავი გაიმართლა დამუქრებულის პრისტავის ბრალდებისაგან და დაარწმუნა ის, რომ კორრესპონდენციები მას არ უწერია. ამის შემდეგ ბ. პრისტავმა ჩემზე გადმოიტანა თავის მრისხანე ეჭვი და ჯერ შორიდან, კილოკავად, ხვა-და-სხვა კაცების პირით გამაგონა, რომ „თუ მე კორრესპონდენციის წერას თავი არ დავანებე, ის (პრისტავი) სამსახურიდან გამომაგდებს და ის არის შემდეგ ერთს კისმას მოსჭკლავს, ან თავს შეაკლავს. ამ მუქარის ყურის უგდებლად „დროებაში" არ მოიშალა საჩხერიდან კორრესპონდენციების ბეჭდვა, და მათში ზოგიერთი სავსე იყო საბუთებით აღჭურვილის ფილიპპიკებით ბ. პრისტავის წინააღმდეგ... თანამდებობიდან გამოგდების შიშის მქონე პრისტავმა სთხოვა ბბ. გიორგი და ივანე აბდუშელიშვილებს ჯერ ყარამან ჩხეიძის გალახვა და, რაკი ამან თავი გაიმართლა, მერე ჩემი; მაგრამ ამ სპატიო პირებმა ჩემის გალახვის მაგიერ, რასაკვირველია, გაუმხილეს საბოლოოდ მომქმედო თხოვნა ბ. პრისტავს და მე, მათაც და სხვებმაც გამაფრთხილეს, რომ „ლ. ჩხეიძემ რაღასაც გიპირებს, უფრთხილდი, უიარაღოდ ნუ ივლიო". მაგრამ მე ამ გაფრთხილებას და რჩევის ყურადღება არა მივაქციე, რადგანაც დღემდის აზრად არ მომდიოდა, რომ ის პრისტავი, რომელიც იმდენად ულირსად და უმართებულო მოქმედად სცნობს თავის თავს თანამდებობაზე, რომ მისს წინააღმდეგ მომართულის ორიოდე კორრესპონდენციის შემდეგ გამოგდებას მოელის,—გაბედავდა ვისმეს გალახვინებას მხოლოდ ცარიელის ეჭვისა და ფუქსავატის ბრალდების გამო... 20 ამ თვისას ამ ლ. ჩხეიძეს ეთხოვნა ბექან წერეთლისათვის, რომ მას ერჩია ჩემთვის კორრესპონდენციების წერაზედ ხელის ალება. თ. ბ წერეთელმა ამ დღეს მე ვერ მნახა და ჩემდა გასაგონად მალ ეთქვა ბ. ვლ. აბაშიძისათვის, რაც ლ. ჩხეიძისაგან ჰქონდა დაბარებული. ვლ. აბაშიძეს მიეგო, „მისი კორრესპონდენციებია, თუ არა, არ ვიციო, და კიდეც რომ იყოს, გალახვით დაშინება რა საკადრისია ჩხეიძისაგან, თუ მართალია, დასწეროს პასუხი და თავი გაიმართლოსო"...

ამის შემდეგს დღეს, 21 რიცხვს, ნაშუადღევს 5 საათზე, სახლიდან გამოველი და ბაზარში საქმისთვის გიახლებოდით. უეცრად კუთხიდან გამოვარდა ერთი სალდათი და განზრახ დამეტაკა გულში. მე ვუბიძგე ხელი და წავაქციე. სალდათმა დაუწყო სადღაც მიმალულს ამხრებს ძახილი, „მიშველეთ, მცარცვავენო"! ისინიც გამოხტნენ, დამიშინეს ქვები და იძულებული მყვეს, შევარდნილიყავი პრისტავის კანცელარიაში, რადგანაც ჯერ კიდევ არ მწამდა, რომ ეს საქმე პრისტავის მოჭახრაკებული იყო და მეგონა, სალდათები იქ ვერ შემობედავდნენ. მე ვსთხოვე პრისტავს, ყურადღება მიექცია, რომ მის ხელქვეშ მყოფ სალდათებმა ერთი თავისიანთაგანი დამატაკეს, სხვებმა ქვები დამიშინეს-მეთქი. მან ყურადღება არ მომაქცია. მე დავბრუნდი სახლში დავსწერე არძა და მივართვი მის კანცელარიაშივე სიტყვითი თხოვნითაც, რაზედაც მოწმები მყავს. ამ დროს შემოვარდა კომანდის უნტერ-აფიცერი და დამიწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა-გინება. პრისტავს ვსთხოვე, შეეჩერებინა უზრდელი უნტერ-აფიცერი, მით უფრო, რომ აქ იყო კან-

---

...ლე არაგვთან ჯურღმულში იმსხვრევ-...ენ ხუნდებს.....

## III

... ენკენისთვის დამლევი იყო. ში-...ი და ალაზნის ველები თან-და-თან ...ებოდა თრიალეთიდან და ლეკი...დან ჩამოსული საქონლით. ერთი ...ს წინედ ჭირნახულით ყვითლად ...მწვანედ რო ჰყვაოდა ქიზიყური ...ღელები, ეხლა უზარ-მაზარ ცხვრის ...ებს თეთრად აეყვავებინათ. მეძ-...ვრეებს საღამო ხანს ბინებზე სულ ...ებზე და ძიტოზე ჰქონდათ სჯა. ...ბდნენ მათ ვაჟკაცობას... ამბობ-...ნ, ჯიბე, უბე და ყაბალახები სავსე ...თ პატრონებითაო და აილანს ისე ...იან, რომ ბეწვს აწყვეტინებენო.

—მტყობა-ყე მა ცოდვიშვილებს ...წერა არ უშვებთ, თორემ ს რა-...არ ვაეცლებიან ამოდენა მდე-...—მითონას გადურჩნენ თუ?! ჰკი-...და ხოლმე გაკვირვებით რომელიმე ...ხვარე ამხანაგებს.

—ჰი, ძამო, მითომ არ იცი, რას ...-ყე?! მამა-პაპის სამარხ რა ძალა ...არ გიფიქრნია-ყე?! მაშ რატონ ...ძმა კაცს არ დავმარხამთ ხოლმე ...ალეთზე—დავმარილამთ და თავის ...ხზე ჩამოვიტანთ-ყე ხურჯინით?! ...უხებდა მეორე.

—ან დანებდეს მთავრობას, ან არა დაიცეს თოფი-ყე და მაიკლას თავი. ძაცო, მაშ ამოდენა სარჩოს შვილებს მაინც რად ულუპამს?!

— ჰე, განა მაგათ ხელში-ლა ჩავარდება? იგრე ამობს-ყე: ცოცხალი კი არ დავნებდებიო, აინალით ერთი ათს ხომ ვინაცვალებო და მერე მე თითონ დავიცემ თოფს და მოვიკლამ თავსაო. ცოლს, ნათესავებს კიდევ ალთქმა აქვთ მიცემული, რომ მამა-პაპის სამარხში დამარხონ-ყე... უპასუხებდა მეორე.

როცა მეცხვარეები ასე ლაპარაკობდნენ, სტეფანეს ბინაზედ მთელი ქიზიყი ამღევრებული იმათ ცხვარსა და ძროხას ცარბაროსულად მუსრს ავლებდნენ, აყაურმებდნენ ჩაფრებ-პრისტავებით.

სტეფანე მაინც არა ტყდებოდა, თეთრი ცხენით, ხლმით, ხანჯლით დაჰქროდა ძმით შირაქში. მიიჭრებოდა ვისიმე ცხვართან, თოფ-დამიზნებული გამოუძახებდა მეცხვარეს. მეცხვარეც მიუდანდა ხოლმე მას ხორცს, პურს, უამბობდა ყველაფერს და მერე გამოემშვიდებებოდა.

ტაციაობას არ კადრულობდა, თუმცა მთავრობა და თანამოძმენი მის სარჩოს ანადგურებდნენ შეუბრალებლივ. ზოგრას ცხვარს კი ხშირად აყაურმებდა. ზოგრაც აწუხებდა მთავრობას სტეფანეს დაჭერაზე. უველა ინდობდა სტეფანეს,—უღალატა თავისმავე მეცხვარემ, რომელსაც შეჰნანდა ამოდენა სარჩოს დანიავება და როცა ერთხელ სტეფანე თავის ძმით თოფებით დამიზნებული მიიჭრნენ თავიანთ ფარეხში ყაურმის საჭმელად, თუმცა ფარეხში ჩაფრები იყვნენ დამალულნი, მეცხვარემ მაინც დაუფიცა, რო არავინ არისო. აი გადმოხტა ძიტო ძირს, გამოსტყვრა ტყვია ფარეხიდამ და ის გაიშოტა მკვდარი!... თეძო ჩააჭრა მეცხვარის სტეფანემ და ჩაფრების უფროსს გულში სთხლიშა ცხელი ტყვია... სხვა ჩაფრები გაიქცნენ... ცრემლები გადმოყარა რკინა-ტეფანემ და მერე შეჰბღავლა მეცხვარეს:

— მიპატიები, ძამო, შენი იუდას კრძობა-ყე. ჩემი ძმის სისხლიც ღმერთმა გაპატიოს-ყე... შენ ხომ არ მოკვდე-ყე და ღმერთის წინაშე ეს ერთი სული მე უნდა ვზღა-ყე... იმას ვეხვეწებ: მამა-პაპის სამარხში დამარხეთ ძიტო... თქვა და გააფრინა ცხენი...

## IV

გავიდა რამდენიმე წელი. სტეფანეს ყველას გადაავიწყდა... იცოდნენ კი, რომ ის სადღაც გადაიკარგა თათრებთან და ყაჩაღობდა.

ბოლოს ერთხელ მაისში, როცა ის კი იყო იოქრაქა ალაზნის ველზე, როცა ისევ უზარ-მაზარი ბურუსი დაიძრა და გაღმა ლეკის მთების წვერებს შუქი მოეფინა, სოფლებშიაც ყველამ იწყეს გაღვიძება, სტეფანეს ცოლმა გაალო სახლის კარები, დერეფნის ბოძზე დაინახა მიბმული სტეფანეს თეთრი ცხენი, კარის პირ-და-პირ დერეფნის დირეზე კიდევ ჩამომჯდარი შეიარაღებული და გულ-ხელ დაკრეფილი სტეფანე...

— აქ რას უზიხარ, ადამიანო, რატო შინ არ შემოხვალ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!!

შესძახა ცოლმა და გადაეხვია კისერზედ. მაგრამ გულშეღონებული, საბრალო ძირს დაეცა სტეფანეც ზედ ცოლზე დაყირავდა... მაშინ გაიგეს რომ სტეფანეს იმათი ჭირი წაეღო... ამხანაგ თათრებს მოეტანათ და დაესოთ თავის სახლის კარებთან გულ-ხელ დაკრეფილი. მიცვალებულს მუჯაში სამი თუმანი ფული უნახეს და ნაჯღაბნი ბარათი:

„ეს ფული თეფანეს სამარხი—ამის სული დალევა ზულთქმა იყო: მამა-პაპური ზამარხში დამარხეთ —აგრე უყავით, თუ დგვენი ჯული ხწამთ"...

შაქრო.

სოფ. კაკაბეთი, 1 მკათათვეს.

უობა შეიძლება ჩამოვარდეს, დამყარდეს ჩვენ შორის.

თ. ბისმარკის ყურადღება ამ უკანასკნელ ხანებში ერთიან უცხო ქვეყნების პოლიტიკამ მიიზიდა. ფრეისინეს სამინისტროს დაცემამ თუმცა შეაწუხა ბისმარკი, მაგრამ არ გაჰკვირვებიაო, რადგან ადრევე იცოდა, რომ ეს სამინისტრო დიდს ხანს ვერ გაჰსტანდა.


# განცხადებანი

**სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი**

აცხადებს, რომ ხელ-ახლა იი გამოცდა მოწაფეებისა მოსამზადებელი კლასებისა და მიღება ახლად მოყვანილის ყმაწვილებისა იმავე კლასებში დაიწყობა 4-ს სეკტემბერს რადგან 1 2 და 3-ს არის დანიშნული კრება სამღვდელოთა. (3—2)

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ**

Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписатьса на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—1)

მომავლის სასწავლებო წლისათვის

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში**

არის 65 თავისუფალი ადგილი; 45 პირველს განყოფილებაში შვიდი-რვა წლის ყმაწვილებისათვის, რომელნიც უეგზამენოდ მიიღებიან, და 20 ადგილი: მეორე განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან ყმაწვილები ერთი წლით უხნესი, ვიდრე პირველში, მაგრამ ეგზამენით (უნდა იცოდნენ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან ათამდინ მაინც ყოველ მხრივ შესწავლული ჰქონდესთ რიცხვები).

მესამე და მეოთხე განყოფილებაში არცერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

თხოვნები მიიღება ოც-და-ხუთს მარიობისთვემდის; თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა. 25 მარიობისთვიდგან 1-ს ენკენისთვემდის იქნება მიღება ყმაწვილებისა. (5—4)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**სახსოვარი**

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე

შეკრებილი და გამოცემული
ფ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება**: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)


**ქუთაისის გიმნაზია** ამით აცხადებს, რომ ქვემორე ამისა ახელწოდებულნი მოსწავლენი, რომელნიც ითვლებოდნენ ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში კანდიდატებად, ვითარცა მოზიდგან დღეს უმეტეს ხუთმეტის წლისა მექონნი, საფუძველსა ზედა § 54 დებულების ძალით შესახებ სამასწავლებლო ნაწილისა, კავკასიაში და კავკასიის აქეთა მხრებში, უნდა ყოფილიყვნენ საკანდიდატო სიიდგან გამორიცხულნი. მარნა ამავე პარაგრაფის ძალით, ეძლევათ ნება ეგრეთვე პანსიონში შესვლისა, თუ იგინი, რიგისამებრ, მოუვათ დრო, იქნებიან სასწავლებელში და, ცოდნისა და წლოვანებისა-და-გვარად, დაიჭერენ შესაბამ კლასისთვის ეგზამენს. ამისთვის გიმნაზია სთხოვს აღნიშნულთა კანდიდატების მშობლებსა, ნათესავეთა და მზრუნველებს, რომ ამა მომავლის ენკენისთვის პირველისათვის აცნობონ მას, თუ აღნიშნულნი კანდიდატები რომელსამე გიმნაზიაში სწავლობენ. უკეთუ ესრეთსა ცნობასა გიმნაზია, 1 ენკენისთვემდინ ამა 1882 წ. არ მიიღებს, იმ შემთხვევაში აღნიშნულნი კანდიდატნი სრულიად და სამუდამოდ იქნებიან ქუთაისის პანსიონის საკანდიდატო სიიდგან გამორიცხულნი.

**გვარი და სახელი კანდიდატებისა**

**გრიგოლ ბარათაშვილი.** შვილი აზნაურის სარინო ბარათაშვილის რომელიც ცხოვრობს შორაპნის მაზრის სოფელს ნიგოზეთში. დაიბადა 1 ნოემბერს 1863 წელსა.

**გრიგოლ ჩიქოვანი.** შვილი აზნაურის დავით ჩიქოვანისა, რომელიც ცხოვრობს სენაკის მაზრის სოფელს აბაშაში. დაიბადა 5 ივლისს 1862 წელსა.

**ნიკოლოზ კანდელაკი.** შვილი აზნაურის სიკო კანდელაკისა, რომელიც ცხოვრობს ქუთაისის მაზრის სოფელს ქვიტირში. დაიბადა 15 სეკტემბერს 1865 წელსა.

**ევგენი აფაქიძე.** შვილი თავადის სიმონ აფაქიძისა, მცხოვრების [illegible] დიდის მაზრის სოფელს საჩინოს. დაიბადა 3 იანვარს 1863 წელსა.

**თომა ავალიშვილი.** შვილი ქვრივი [illegible] ავალიშვილისა, მცხოვრების სოფელსა ვარძიაში, შორაპნის მაზრისა. დაიბადა 10 იანვარს 1864 წელსა.

**ვლადიმერ მხეიძე.** შვილი პრაპორშჩიკის პეტრე მხეიძისა, მცხოვრების სოფელს თეკლათში სენაკის მაზრისა. დაიბადა 7 აგვისტოს 1865 წელსა.

**ღრიფონ ლორთქიფანიძე.** შვილი აზნაური ალექსი ლორთქიფანიძისა, მცხოვრების სოფელს ვაზში ქუთაისის მაზრის. დაიბადა 10 ივნისს 1865 წელსა.

**კონსტანტინე დგებუაძე.** შვილი თავადისა ყარამან დგებუაძისა, მცხოვრების სოფელს ნამიკოლში სენაკის მაზრისა. დაიბადა 8 ოკტომბერს 1864 წლისა.

**ბარნაბა ნანეიშვილი.** შვილი აზნაურის სოლომონ ნანეიშვილისა, მცხოვრების სოფელს ნაფალაურში სენაკის მაზრისა. დაიბადა 7 თებერვალს 1865 წელსა.

**ალექსანდრე ნანეიშვილი** შვილი აზნაურის ნიკოლოზ ნანეიშვილისა, მცხოვრების სოფელს საჭილაოში სენაკის მაზრისა. დაიბადა 2 იანვარს 1867 წელსა.

**მაქია ჩხეიძე.** შვილი აზნაურის ტარიელ ჩხეიძის, მცხოვრების სოფელს სალხინოში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 4 იანვარს 1865 წელსა.

**მიხაილ აბაშიძე.** შვილი აზნაურის სოლომონ აბაშიძისა, მცხოვრების სოფელს ტელეფაში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 1 ნოემბერს 1866 წელსა.

**მელიტონ ჩიქოვანი.** შვილი თავადის ლევან ჩიქოვანისა, მცხოვრების სოფელს ნაგურობში ზუგდიდის მაზრისა. დაიბადა 1 ივნისს 1863 წელსა.

**ნესტორ ამირანაშვილი.** შვილი აზნაურის დიმიტრი ამირანაშვილისა, რომელიც ცხოვრობს სოფელს ჩხარში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 1 ოკტომბერს 1864 წელსა.

**ანდრია იორაიშვილი.** შვილი პრაპორჩიკისა მიხაილ იორაიშვილისა, მცხოვრების სოფელს შემოქმედში ოზურგეთის მაზრისა. დაიბადა 16 ოკტომბერს 1865 წელსა.

**ალექსანდრე ჭუმბურიძე.** შვილი აზნაურის ნიკოლოზ ჭუმბურიძისა, მცხოვრების სოფელს სამონეთში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 16 ოკტომბერს 1864 წელსა.

**მელიტონ გამცემლიძე.** შვილი აზნაურის როსტომ გამცემლიძისა, მცხოვრების, სოფელს მაკათუბანში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 7 იანვარს 1866 წელსა.

**იოსებ წერეთელი.** შვილი მღვდლის ნიკოლოზ წერეთლისა, მცხოვრების სოფელს ცაროკვესში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 8 იანვარს 1866 წელსა

**დავით აბაშიძე.** შვილი აზნაურის კონსტანტინე აბაშიძისა, მცხოვრების სოფელს თუზს შორაპნის მაზრისა. დაიბადა 8 იანვარს 1866 წელსა.

**პეტრე ცქიტიშვილი.** შვილი აზნაურის სოლომონ ცქიტიშვილისა, მცხოვრების სოფელს ხორითში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 8 თებერვალს 1867 წელსა.

**სამსონ ღულაძე.** შვილი აზნაურის კონსტანტინე ღულაძისა, მცხოვრების ქალაქს ქუთაისში. დაიბადა 2 მაისს 1865 წელსა.

**კონსტანტინე ქუთათელაძე.** შვილი მღვდლის ვასილ ქუთათელაძისა, მცხოვრების დაბა ხონში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 7 მარტს 1865 წელსა.

**იასონ გეგელაშვილი.** შვილი აზნაურის ლუარსაბ გეგელაშვილისა, მცხოვრების ქალაქს ქუთაისში. დაიბადა 27 მაისს 1867 წელსა.

**ვლადიმერ დოდობერიძე.** შვილი აზნაურის ლევან დოდობერიძისა, მცხოვრების სოფ. ჯიხაიში, ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 7 მარტს 1867 წელსა.

**ალექსანდრე კიკნაძე.** შვილი აზნაურის ბიჭია კიკნაძისა, მცხოვრების სოფ. ჩხარს შორაპნის მაზრისა, დაიბადა 20 სექტემბერს 1865 წელსა.

**მიხაილ ჭიჭინაძე.** შვილი აზნაურის ტარიელ ჭიჭინაძისა, მცხოვრების სოფ. ბარში, რაჭის მაზრისა. დაიბადა 7 ნოემბერს 1865 წელსა.

**სამსონ შავდია.** შვილი აზნაურის ბესარიონ შავდიასა, მცხოვრების სოფელს ბალდას, სენაკის მაზრისა. დაიბადა 19 თებერვალს 1865 წელსა.

**კარპე იაშვილი.** შვილი აზნაურის მიხაილ იაშვილისა, მცხოვრების სოფელს სომიწოს რაჭის მაზრისა. დაიბადა 22 აგვისტოს 1865 წელსა.

**ვასილ შერაძენიძე.** შვილი აზნაურის ივანე შერაძენიძისა, მცხოვრების სოფელს ტობანიერში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 15 ივლისს 1866 წელსა.

**დართიოს ქოჩეჩაშვილი.** შვილი აზნაურის კონსტანტინე ქოჩეჩაშვილისა, მცხოვრების სოფელს საქარაში შორაპნის მაზრისა. დაიბადა 15 სექტემბერს 1866 წელსა.

**იოსებ შერაძენიძე.** შვილი აზნაურის ალექსანდრე შერაძენიძისა, მცხოვრების სოფელს ტობანიერში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 8 მაისს 1867 წელსა.

**ბარნაბა მეძმარიაშვილი.** შვილი აზნაურის სოლომონ მეძმარიაშვილისა, მცხოვრების სოფ. ბაშს ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 11 ივნისს 1867 წელსა.

**გრიგოლ კანდელაკი.** შვილი ლუბერნსკის სეკრეტრისა კონსტანტინე კანდელაკისა, მცხოვრების სოფ. ბოდოგანში ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 1 აგვისტოს 1867 წელსა.

**სევერიანე ლორთქიფანიძე.** შვილი თავადი გიორგი ლორთქიფანიძისა, მცხოვრების სოფ. დიხაშხოს ქუთაისის მაზრისა. დაიბადა 5 აპრილს 1867 წელსა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი